პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ოთხშაბათი
17
სექტემბერი
№ 218
(16344)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

ჩვენი დიდი საღდღეისო საქმე

ოგორც „კომუნისტი“ იუწყებოდა, მიმდინარე წლის 12-13 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში“ და „ინფორმაცია საქართველოს კომპარტიის მორიგი XXV ყრილობისთვის მზადებასთან დაკავშირებით ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“.

პლენუმის მასალები გამოქვეყნდა პრესაში და მათ მაშინვე მიიპყრეს არა მარტო კომუნისტების, ხოფლის მეურნეობის მუშაკების, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ცხოველი ყურადღება. პლენუმის მუშაობის შედეგებს კმაყოფილებით ეცნობიან საწარმოებსა თუ დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა თუ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, სკოლებსა თუ თვით ოჯახებში.

და ეს სავსებით ბუნებრივია. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განხილულ საკითხებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ცხოვრებისათვის, მისი კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

ჩვენი პარტია მუდამ უდიდეს ყურადღებას უთმობდა მეცხოველეობის განვითარებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებების შემდეგ შეიქმნა რეალური პირობები მეცხოველეობის განვითარებაში ძირეული გარდატეხისათვის.

ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაშიც გარკვეული მუშაობაა გაწეული. აშენდა ხორცისა და რძის რამდენიმე კომპლექსი, მეფრინველეობის ფაბრიკები, გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მოცულობა.

მაგრამ, როგორც უს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, განვითარების ტემპი სრულიად არ იყო საკმარისი მეცხოველეობაში საქმის მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. სწორედ ამის იყო გამოწვეული, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმისა და თვით პარტიის XXIV ყრილობის ტრიბუნიდან ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ კრიტიკიდან საჭირო დასკვნებს გამოიტანდნენ უწინარეს ყოვლისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში. სამწუხაროდ, მეცხოველეობის განვითარების პრობლემებზე მიღებულმა მთელმა რიგმა დადგენილებებმა ამინდი ვერ შეცვალა, გარდატეხა ვერ მოახდინა, რადგან ისინი არ ითვალისწინებდნენ საკითხების კომპლექსურ გადაჭრას, წინასწარ საფუძვლიან შესწავლას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენებას, ახლის, პროგრესულის ძიებას და დანერგვას.

მეცხოველეობის — ამ საარსებო უბნისადმი ყურადღებასა და ხელმძღვანელობის სტილზე ნათლად მეტყველებს მარტო ის ფაქტიც, რომ მეცხოველეობის კომპლექსებისა და ფერმების მშენებლობისათვის გამოყოფილი მრავალი ათეული მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება აუთვისებელი დარჩა; და ეს მაშინ, როცა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის საგრძნობი სულადობა უვარგის შენობებშია მოთავსებული.

აშკარა შეცდომა, პირდაპირ უმადურობა იქნებოდა არ დაგვენახა ის, რაც უკანასკნელ ხანს გაკეთდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის ფეხზე დასაყენებლად. სასიკეთო ძვრებია სამრეწველო საფუძველზე შინაგანი რესურსების გამოყენებით, კერძოდ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის ხუქების ორგანიზაციის დარგში. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გამოცდილება პარტიის აურჯანის რაიკომისა, რომელმაც მოკლე ვადაში შექმნა ძროხის ხორცის წარმოების კომპლექსი და მის ბაზაზე განაზორციელა მეცხოველეობის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია მაღალი ეკონომიური ეფექტიანობით.

თუმცაღა მეცხოველეობის დარგში ჩამორჩენა ოღუნდოღობით აშკარაა. ამ დარგის განვითარების მეტი წილი და უმთავრესი მონაცემებით საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სსრ კავშირში. სწორედ ამან განაპირობა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმი წინასწარ განსაკუთრებული მომზადების, მეცხოველეობის განვითარებით დაინტერესებულ მუშაკთა და მეცხოველეთა მოსაზრებებისა და შენიშვნების, წინადადებებისა და სურვილების გათვალისწინებით ორი დღის განმავლობაში ასე საქმიანად, ღრმად, მოფიქრებულად განიხილავდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების პრობლემებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ პლენუმის მოწვევით მიზნად ისახავდა სამ ძირითად ამოცანას. პირველი: რაც შეიძლება დაჯერებლად და არა მარტო კრიტიკულად, არამედ თვითკრიტიკულადაც ეთქვა მეცხოველეობის მიუღებელი ჩამორჩენის შესახებ და ყოველივე ეს ნათელეყო სათანადო არგუმენტებითა და ფაქტებით. მეორე: კონკრეტულად განესაზღვრა მიზნები, ამისთვისაც უნდა გაჩაღებულიყო ბრძოლა და მეესამე: პარტიული აქტივი დარწმუნებულიყო იმაში, რომ ეს მიზნები სავსებით რეალურია და, მაშასადამე, შეიძლება ბრძოლა მათი შესრულებისათვის.

როგორც მოხსენებაში, ისე მოკამათეთა გამოსვლებში გაანალიზებულია ჩვენს მეცხოველეობაში მიმდინარე ფაღრისად საგანგაშო მდგომარეობის მიზეზები, ნაჩვენებია ჩამორჩენის დაძლევის ეფექტიანი გზები, განსაზღვრულია მეცხოველეობის აღმავლობის მასშტაბური ამოცანები და მისი როგორც ახლოესი მომავლის, ისევე უფრო შორეული, სულ ოტა, ათი წლის პერსპექტივები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, და ეს იგრძნობოდა ყოველი ორატორის გამოსვლაში, რომ საქართველოს ეუძლია გაზდეს, უნდა გაზდეს და კიდევაც ახდება დიდად განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა.

ამოცანა ოღლი როდია. ამიტომ მისი განხორციელებისათვის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შეაიარაღა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები იმ კონკრეტული, გადაუდებელი, მეცნიერულად დამუშავებული ღონისძიებებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობა.

რა წყაროები გვაქვს საამისოდ, საიდან უნდა დავიწყოთ პრაქტიკულად ეს საქმე?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ მეცხოველეობის განვითარების ეკონომიურ ღონისძიებათა მთელ კომპლექსში პირველი, ყველაზე გადამწყვეტი, მთავარი ადგილი ენიჭება მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. „მთავარი, რაც მეცხოველეობის აღმავლობისათვის გვჭირდება, ეს არის საკვები, საკვები და ერთხელ კიდევ საკვები“, — აღნიშნავდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმზე.

მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა კომპლექსში ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება **პირუტყვის სულადობის ზრდას, კარგად დაყენებულ ჯიშთასანაშენო საქმეს, პირუტყვის ვეტერინარული მომსახურების მაღალ დონეს და მექანიზაციის საშუალებით მეცხოველეობაში შრომატევადი საშუალოების შესრულებას.** მხოლოდ ამ პრობლემების გადაჭრით მივაღწევთ დასახულ მიზანს.

ხოფლის მეურნეობის, კერძოდ მეცხოველეობის აღმავლობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ფართო პროგრამის წარმატებით განხორციელების ინტერესები მოითხოვს ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის მოდვაწეობის არსებითად გაუმჯობესებას.

პლენუმმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ პარტიის ხაოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა ორგანიზაციებმა ახლა მთელი თავიანთი პოლიტიკური და ორგანიზატორული მოღვაწეობა უნდა წარმართონ პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ყოველი კომუნისტის საქმიანობის მთავარ საზომად უნდა მივიჩნიოთ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დონე, რომელსაც გამოხატავს სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების პროცენტები, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების რენტაბელობის ამაღლება, ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, მატყლისა და კვერცხის ხარისხის გაუმჯობესება.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მთელი ქვაკუთხედი უნდა იყოს კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლის ამაღლება საზოგადოებრივი წარმოების, უბნებზე, იქ, სადაც წყდება სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების ბედი.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან გააცნონ პლენუმის გადაწყვეტილებანი თვითეულ კომუნისტსა და კომკავშირელს, თვითეულ მშრომელს, უწინარეს ყოვლისა — კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ფერმაში, ბრიგადაში. მათ კარგად უნდა იცოდნენ პლენუმის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა, მათი არსი. ამასთანავე აუცილებელია პარტიულ კრებებზე, უპარტიოთა მონაწილეობით ღრმად განიხილონ პლენუმის შედეგები და კონკრეტულად მოიფიქრონ, რა ადგილი უნდა დაიკავოს კოლექტივმა, თვითეულმა მუშაკმა — ხელმძღვანელმა თუ რიგითმა — მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ხანმოკლე, ეპიზოდური კამპანია კი არ არის, არამედ მუდმივი, ყოველდღიური დიდი საქმეა.

უთუოდ მოსაწონი და მისაბაძია იმ პარტიული ორგანიზაციების თაოსნობა, რომლებიც პლენუმის დამთავრებისთანავე აწყობენ პლენუმიდან შინ დაბრუნებულ მეცხოველეებთან შეხვედრებს. ისინი კი თავიანთი კოლექტივის წევრებს გულდასმით მოუთხრობენ პლენუმის მუშაობაზე, მიღებულ შთაბეჭდილებებზე და მსჯელობენ იმაზე, თუ რა გააკეთონ კიდევ მეცხოველეობის განვითარებისათვის, რა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგან ამ გზაზე.

ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა მეცხოველეობის მძლავრი, განუხრელი აღმავლობისათვის, პროდუქტების სიუხვისათვის, მეცხოველეობის დარგში ხუთწლედით გათვალისწინებული გეგმების წარმატებით შესრულება და პირუტყვის ხანმუშად გამოზამთრება — ეს იქნება ჩვენი მეცხოველეების ყველაზე საუკეთესო საჩუქარი სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ საქართველოს კომუნისტები პირნათლად შეასრულებენ დასახულ ამოცანებს, მეცხოველეობის დარგს ხანგრძლივი ჩამორჩენიდან გაიყვანენ ყველაზე მოწინავე პოზიციებზე ჩვენს ქვეყანაში. და საბჭოთა საქართველოს აქცევენ არა მარტო მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და მევენახეობის რესპუბლიკად, არამედ მოწინავე, ყველაზე თანამედროვე მეცხოველეობის რესპუბლიკადაც.

ეს ჭეშმარიტად ისტორიული ამოცანაა, ნამდვილად რევოლუციური ნაბიჯია, რომლის გაბედულად გადადგმაც იკისრეს საქართველოს კომუნისტებმა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ამ ბოლო დროს მკვიდრდება შესანიშნავი ტრადიცია, როცა პარტიისა და ხალხისადმი მიცემულ სიტყვას ქარს კი არ ატანენ, როგორც არც თუ შორეულ წარსულში ხდებოდა, არამედ მთელი პასუხისმგებლობით, სერიოზულობითა და მონდომებით იბრძვიან პირობის, სიტყვის, ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის და ამით არაერთ გულგასახარ წარმატებასაც აღწევენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ ასე იქნება ახლაც, როცა საქართველოს ბოლშევიკებმა განიზრახეს დაამსხვრიონ დრომოჭმული წარმოდგენა, თითქოს რესპუბლიკის ხოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მეცხოველეობა სპეციფიკური დარგი არ იყოს, და აი ხელი მოჰკიდეს მის გამოყვანას ჩამორჩენილობის ტყვეობიდან.

დიახ, საქართველო უეჭველად გახდება დიდად განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა!

ეს არის მთელი ჩვენი ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის სახელის, ავტორიტეტისა და ღირსების საქმე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ოთხბირი საბინაო მშენებლობის საკითხებზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა რესპუბლიკაში წლევანდელი საბინაო მშენებლობის მიმდინარეობა რვა თვის მანძილზე.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. პატარიძემ.

აღინიშნა, რომ სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის ტემპი არ შეესაბამება მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. რვა თვის მანძილზე შემკვეთთა მონაცემებით, მათ ვერ აითვისეს 14 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით, ანუ ამ მაჩვენებლის გეგმა 86 პროცენტით შესრულეს, კიდევ უფრო დაბალია საცხოვრებელი ფართობის გადაცემის გეგმის შესრულების დონე — 67 პროცენტი, ანუ წლიური გეგმის 42 პროცენტი.

მნიშვნელოვანად ჩამორჩა ძირითადი მოიჯარე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, რომელმაც 5 მილიონი მანეთი დააკლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულებას, ხოლო საცხოვრებელი ფართობის გადაცემის პროგრამა გაანადგა 71 პროცენტით.

ასეთი მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა აიხსნება შრომის ორგანიზაციის არასაკმარ დონით, ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელების მოუქნელობითა და არაოპერატიულობით, რომლებსაც უნდა არ შესწევთ ყველაზე მნიშვნელოვან, ასამოქმედებელ ობიექტებზე თავი მოუყარონ მატერიალურ და შრომითს რესურსებს.

ჩამორჩენა გამოწვეული იყო აგრეთვე მცირე მარაგნამეტით. მკაცრად გააკრიტიკეს ჩამორჩენილი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ამასთან აღინიშნა, რომ ხშირად სამშენებლო ორგანიზაციები ზოგიერთი მასალების და ნაწარმის, აგრეთვე ავტოტრანსპორტის ნაკლებობას განიცდიან.

თათბირზე გამოსულმა მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციების, ხელმძღვანელებმა, მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის მინისტრებმა ნ. მეძმარიაშვილმა და ი. ბარატაშვილმა ილაპარაკეს ჩამორჩენის დაძლევის გზებზე, მშენებელთა გადაწყვეტილებაზე, უთუოდ შეასრულონ ცხრა თვისა და ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა. აღინიშნა ის დახმარება, რომელსაც მშენებლებს უწევენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ლაბახუა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. მენთეშაშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა ზ. პატარიძემ. (საქინფორმი).

სურათზე: ჩაის კრეფა ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ბ. ბოზოხიას ფოტო.

შენთვის, ჩვენო დედამიერ!

XXV

მეჩაიეთა ახალი გამარჯვება

საქართველოს ჩაის პლანტაციათა მშრომელებმა, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს სახელმწიფო სათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, სკკპ მომავალი XXV ყრილობის აღსანიშნავად იკისრეს დამატებითი გადიდებული ვალდებულება — 325 ათას ტონამდე გაეზარდათ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მთლიანი მოსავალი და დამზადება. ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა წარმატებით შეასრულეს ეს ვალდებულებაც: **16 სექტემბრისათვის მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 326.041 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.**

კარგად იშრომეს გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა და სატრანსპორტო ორგანიზაციათა კოლექტივებმა. მოკრეფილ ჩაის ფოთოლს დროულად აწვდიდნენ ფაბრიკებს, სადაც ასევე დროულად ამუშავებდნენ.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება. (საქინფორმი).

კლენუმის მოწოდებანი დაგრუნდა ფაბრიკაზე

მოწინავეთა მაგალითით

მეფრინველე ეთერ ფეთეკაურის ფიქრები და ვალდებულებები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესახებ. ამ პლენუმს ესწრებოდა თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის მოწინავე მუშა ეთერ შეთეკაური. პლენუმიდან რომ დაბრუნდა, მან შთაბეჭდილებანი გაუზიარა ფაბრიკაში მომუშავე მეფრინველეებს, სპეციალისტებს. ისინი დიდად დაინტერესდნენ პლენუმზე გამოთქმული იმ პერსპექტივებით, რომლებიც დასახულია მეფრინველეობის პროდუქტების გადიდების საქმეში.

— პლენუმზე ითქვა, რომ მეფრინველეობაში ჩვენს მიერ მიღწეულ შედეგებს ვერც კი შეადარებთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მაჩვენებლებს, — განაცხადა სუუბარში მეფრინველემ ეთერ შეთეკაურმა, ამ საქმეში შეიქმნა აშკარა შეუსაბამობა პროდუქციის წარმოებს ზრდასა და მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდების მოცულობას შორის. ეს გულსატკენია. ამ დარგის უნარიანი განვითარების შესაძლებლობა არსებობს. ჩვენ, მეფრინველეები, — თქვა შეთეკაურმა, — ფართოდ გამოვიყენებთ მოწინავე გამოცდილებას, არ დავიშურებთ ძალღონეს, გამოცდილებას იმისათვის, რომ მივიღოთ რაც შეიძლება მეტი მეფრინველეობის პროდუქტები.

პლენუმმა მეფრინველეებს დიდი ამოცანები დაგვისახა: მომავალი ხუთწლედის დამლევისათვის მთლიანად უზრუნველყოთ რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებანი საკუთარი წარმოების კვერცხსა და ფრინველის ხორცზე. ეს რომ წარმატებით შესრულდეს, საჭიროა თვითეულმა ჩვენგანმა ენერგიულად იმუშაოს, პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა.

მეფრინველე ეთერ შეთეკაური ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა — მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით თავის სამოქმედო უბანზე თვალსაჩინოდ გაადიდოს მეფრინველეობის პროდუქტების წარმოება.

• • •

სურათზე: ეთერ შეთეკაური (მარჯვნიდან მეორე) ესაუბრება მოწინავე მეფრინველეებს ლ. მიქაუტაძეს, ვ. ჭინჭარაულს და ო. ხარებაშვილს.

ს. კილაძის ფოტო.

რთველი — დროით, უდანაკარგოდ!

საღ რამდენი მოიკრიფა

(16 სექტემბრისათვის)

ცხრილში შეტანილია ის რაიონები, სადაც რთველია.

რაიონები	ვალდებულება (ტონობით)	მოკრეფილია (ტონობით)
გურჯაანი	80.000	72.441
თელავი	45.000	33.644
ყვარელი	29.000	20.628
სიღნაღი	24.485	28.204
ახმეტა	23.000	12.701
საგარეჯო	20.000	6.726
წითელწყაროო	19.000	13.706
ლაგოდეხი	5.500	4.231
მარნეული	15.860	5.823
გარდაბანი	9.200	765
მცხეთა	10.000	1.130
ბოლნისი	8.725	1.582
ზესტაფონი	26.850	178
თერჯოლა	18.100	168
მაიაკოვსკი	14.300	347
საჩხერე	5.450	372
ორჯონიკიძე	5.350	159
სულ მოკრეფილია		202.682

ორგანიზებულად, მაღალხარისხოვნად კრეფოთ ყურძენი და მივიტანოთ ღვინის ქარხნებში. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი დაგვიანებული დღე, საათი ნიშნავს სამშობლოს დაკარგოთ ტონობით ყურძენი.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ხანმოკლეა რთველი, მით უფრო მეტია გამოსავლიანობა.

ვარშავის დღეები მოსკოვში

საბჭოთა და პოლონელი ხალხების ძმური მეგობრობის დღესასწაული გახდა ვარშავის დღეები მოსკოვში, რაც 15 სექტემბერს დაიწყო. მოსკოველები გულთბილად და გულითადად შეხვდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ვარშავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვარშავის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ კემპა.

ბ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ვარშავის დღეების საზეიმო გახსნას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მოსკოვში ვარშავის დღეების გახსნა დიდ მოვლენაა ორი დედაქალაქის ცხოვრებაში. შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს, თქვა მან, რომ დღეებს საინტერესო, შინაარსიან პროგრამას დიდი წარმატება ექნება მოსკოველებში, ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების, მოსკოველი და ვარშაველი მშრომელების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

შეეხო რა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ნაყოფიერ თანამშრომლობას, ვ. ვ. გრიშინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ძმური უთანხმოება გახდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების პრაქტიკული ხორცშესხმის მაგალითი.

ვ. ვ. გრიშინმა ვარშაველებს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელს უსურვა ახალი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მზადებაში.

კრებაზე გამოვიდნენ მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. პ. ისავი. ჭარხანა „სერპ ი მოლოტის“ შემდუღებელი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ლ. ბ. აფინინი და მორის ჭორეზის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი ჯ. დავიდიჩეკა. მათ აღნიშნეს, რომ ვარშავის დღეები მოსკოვში საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა და პოლონელი კომუნისტების, მოსკოველი და ვარშაველი მშრომელების ძმური მეგობრობისა და მჭიდრო, ყოველმხრივი თანამშრომლობის კიდევ ერთ მკაფიო დადასტურებად.

პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა იუზეფ კემპამ მოსკოველებს. ყველა საბჭოთა ადამიანებს გადასცა ვარშაველთა, პოლონელ კომუნისტთა ჯეროვანი სალამი. რომ არ გვჭონოდა ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან, თქვა მან, დღეიადგ რომ არ მტკიცდებოდეს თანამშრომ ლ ობ ა, ვერ აღვადგენდით ჩვენს ქვეყანას ომის ნანგრევებიდან, ვერ ავაშენებდით თანამედროვე საზოგადოებას. ჩვენ ვერ დავიცავდით ისეთ დიდ ამოცანებს, რომლებსაც ამჟამად ვწყვეტთ. ეს მეგობრობა იყო, არის და იქნება ჩვენი ცხოვრების საფუძველი. ყოველ დონეს ვიხმართ, რათა იგი მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს.

იმავე დღეს სტუმრებმა გვიჩვენეთ შუამავეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი, პატივი სცეს აგრეთვე ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ხსოვნას და ვიირვიენით შუამავეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

დღის დიდაქალაქის კინოთეატრ „ვარშავაში“ პრემიერით „ამ ვაზიოხოლოსწინა დღეებში“ გაიხსნა პოლონური ინოს დღეები.

მაიაკოვსკის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე მოსკოველებმა ნახეს ეიი ბრომკვიჩის ისტორიული კომედია „მეექვსე კარის დასასრული“ სპექტაკლი მოგვითხრობს მგზნებარისა და მოაზროვნის ნიკოლოზ კოპერნიკის დიად გმირობაზე.

საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთული ლიტერატურის სახელმწიფო ბიბლიოთეკის დარბაზებში გაიხსნა პოლონური წიგნის გამოფენა. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

სამთო მეცხოველეობა —ჩვენი საზრუნავი

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

საბანამ კრება დაიწყებოდა, მთებიდან მოსულ კომუნისტებს საქმიანი საუბარი ჯიჯიღებინათ, ველას ინტერესებდა გაეგო სამთო მეცხოველეობის ის პერსპექტივები, რომლებსაც განსაკუთრებული უურადღება დაეთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე. სასიხარულო იყო, რომ ქართველი კომუნისტების ამ თავყრილობაში მონაწილეობდა ფასანაურის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ორი წევრი — თავჩობანი გიორგი გვრიტიშვილი და მეცხვარეობის ფერმის გამგე გიორგი მოთიაშვილი. ახლა ფერმის გამგე ამხანაგების შუაში ჩამდგარა და ჰყვება მეცხოველეობის, განსაკუთრებით კი მეცხვარეობის მომავალზე, იმაზე, რომ საქართველოს შეუძლია გაზდეს და უნდა გაზდეს სამთო მეცხოველეობის კლასიკური რესპუბლიკა, რომ ამ საქმეში თავგანთი სტაჟა უნდა თქვან მთიელმა მშრომელებმა, რომლებისთვისაც მეცხვარეობა იყო და არის საყვარელი, ამავე დროს რთული, ვაჟკაცური საქმე.

პარტბიუროს მდივნის რ. ქავთარაძის საანგარიშო მოხსენებას და მოკამათეთა გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევდა ზრუნვა იმაზე, თუ როგორ დაეძლიოთ ჩამორჩენა მეცხოველეობაში და როგორ მივაღწიოთ მის მძლავრ აღმავლობას, თუმცა ფასანაურის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე მეურნეობაა არა მარტო რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში. შარშან ფასანაურელებმა მოიპოვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა საბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

მაგრამ მიღწეული ხელვარი როდია. ახლა, როცა დასახულია მეცხოველეობის აღმავლობის შესანიშნავი პროგრამა, საჭიროა რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ ამ დარგში არსებული ნაკლოვანებანი, ავამაღლოთ თვითეული კომუნისტის, ყველა შრომელის აქტივობა, პარტიული ორგანიზაციისა კოლოგრამი რძე, ეს დავალება შესრულდება 9 თვეში. ბევრმა მწველავმა გაანაღდა რძის წარმოების ხუთწლიანი გეგმა, ნაცვლად 80-ისა ყოველ 100 ძროხაზე მიეებულია 89 ხბო.

მეცხვარეობის ფერმაში თავდადებით შრომობენ კომუნისტები, რომელთა შორის არის ლენინის ორდენოსანი თავჩობანი გიორგი გვრიტიშვილი. პლენუმზე მაღალი შეფასება მისცეს მის გამოსვლას. რიგითმა მეცხვარემ თავის სიტყვაში სწორად გამოხატა არა მარტო ფასანაურელი, არამედ ყველა ქართველი მწყემსის გულისნადები, მოურიდებლად ალაპარაკა იმ

ეურადღების ცენტრშია პარტიის როლის ზრდა

მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში ახლოვდება ახალი სასწავლო წელი. იგი ემთხვევა სკკპ XXV ყრილობის მზადებისა და მისი ჩატარების პერიოდს. პროპაგანდისტთა და მსმენელთა ყურადღების ცენტრში იქნება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში პარტიის როლის ზრდის საკითხები, კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობისა და პარტიის XXV ყრილობის კურსის შესაბამისად საგარეოპოლიტიკური ამოცანების განხორციელებისათვის მისი საქმიანობის შედეგები, სკკპ XXIV ყრილობის მასალები და გადაწყვეტილებანი. ამასთან დაკავშირებით პოლიტიკური სწავლების საშუალო რგოლში შემფლებულია ახალი საგანი „სკკპ კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი ძალა“, ხოლო დაწყებით რგოლში „სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკა“.

15 სექტემბერს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, გორში, თელავში, ზუგდიდში მუშაობა დაიწყეს რესპუბლიკურმა ზონალურმა კურსებმა, რომლებიც პარტიული სწავლების სისტემის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების პროპაგანდისტებს ამზადებენ ახალ საგაზში „სკკპ კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი ძალა“. კურსებს მოისმენს საშუალო რგოლის 1.400-მდე პროპაგანდისტი. ლექციებთან ერთად მოეწყობა სემინარული მეცადინეობა, მუშაობა რეკომენდებულ ლიტერატურაზე, გამოცდილების გაზიარება. გარკვეული დრო ეთმობა პროპაგანდისტთა მეთოდიკური ოსტატობის სრულყოფას, მათ მიერ ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ელემენტების შესწავლას.

პირველ დღეს მოისმინეს ლექციები: „მარქსიზმ-ლენინიზმი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა სკკპ XXIV ყრილობის საგარეოპოლიტიკური კურსისა და მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის“ და „მეცხრე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების მემდგომი განვითარება“. კურსების მეცადინეობა 5 დღეს გასტანს.

ვინ გაიმარჯვებს?

ახალგაზრდა ხარატთა კონკურსი

დევიზით „ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიებანი“. თბილისში დაიწყო ახალგაზრდა ხარატთა პროფესიული ოსტატობის VII სრულიად საკავშირო კონკურსი.

ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელშაც შრომის მოწინავე გამოცდილებისა და პროგრესული მეთოდების სკოლის კარგი სახელი მოიხვეჭა, აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის 25 ახალგაზრდა ბკვარიელი — თავის პროფესიაში საუკეთესოთა წოდებისათვის რესპუბლიკურ და საოლქო შეჯიბრებაში გამარჯვებულნი. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავს ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ხარატი ევგენი პლეშკოვი. სიბჭოთა ოსტატებთან ერთად ამ თავისებურ ჩემპიონატში კონკურსგარეშე მონაწილეობენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და იუგოსლავიის საუკეთესო ახალგაზრდა ხარატები.

13 სექტემბერს სრულიად საკავშირო კონკურსის მონაწილეებმა და უცხოელმა სტუმრებმა გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი. შემდეგ მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის საკავშირო ინსტიტუტში კონკურსის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ წამყვანი მეცნიერები, ინჟინრები და წარმოების მოწინავენი, რომლებმაც წაიკითხეს ლექციები ხარატთა შრომის მოწინავე მეთოდებზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო.

კვირას კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში ახალგაზრდა ოსტატებმა სახარატო ჩარხებზე დაიწყეს საკონკურსო დეტალების პრაქტიკული დამზადება.

მონაწილეებს მოელით გამოცდა თეორიაში, რომლის შემდეგ ეიური დასასახელებს გამარჯვებულს.

(საქინფორმი).

ასამუშავებელ ობიექტებს —კონტროლი, დახმარება

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაპიტალურ მშენებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე ხუთწლედის განვლილ პერიოდში თითქმის არც ერთი წელიწადს არ შესრულებულა კაპიტალური მშენებლობის გეგმები, ჭიანურდებოდა ძირითადი ფონდების ამოქმედება.

მშენებლობაში არსებული საგალალო მდგომარეობის შესახებ ფართოდ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში კაპიტალური დაბანდების ზრდის ტემპი ძალზე დაბალია და საშუალო საკავშირო დონეს 16 პროცენტით ჩაპორჩება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პარტიის გურჯაანის რაიკომმა (პირველი მდივანი შ. ეცადაშვილი) შექმნა სპეციალური შტაბი მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის. პირველ რიგში აღრიცხეს გაჭიანურებული მშენებლობანი. მშენებლებთან ერთად შეადგინეს ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები. ყველას მიეცა კონკრეტული დავალებანი. ჩამორჩენილ ობიექტებზე სისტემატურად დაიწყეს მბობოობების მოწყობა. სამშენებლო ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის განმტკიცებით, მინდობილი საქმის შესრულებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებით, მშენებლობასა და დამკვეთ ორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთკავშირის დამყარებით რაიონში მშენებლობა მნიშვნელოვნად დაჩქარდა, გაუმჯობესდა მისი ხარისხი.

განვლილ 4.5 წელიწადში რაიონის სამშენებლო ორგანიზაციებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა 104 პროცენტით შეასრულეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37.535,5 ათასი მანეთისა შესრულებულია 39.050,2 ათასი მანეთის სამუშაობები, ე. ი. გადაჭარბებამ 1.514,7 ათასი მანეთი შეადგინა.

ამავე პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა 140 ობიექტი გეგმით გათვალისწინებული 117 ობიექტის ნაცვლად. 8 სამშენებლო ორგანიზაციიდან 4,5 წლის გეგმა ვერ შეასრულა ორმა ორგანიზაციამ. კერძოდ, ტრესტ „საქკოოპშენის“ მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ და სამშენებლო სამმართველო № 6-მა, რომლებმაც შესაბამისად გეგმის შესრულებას 146.200 და 78.000 მანეთი დააკლეს. დასახელებული ჩამორჩენა ძირითადად დამკვეთულია 1971-1972 წლებში.

ხუთწლედის განვლილ პერიოდში რაიონის სამშენებლო ორგანიზაციებმა ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 8.328 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც გეგმას 600 კვადრატული მეტრით აღემატება.

აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მუსიკალური სკოლა 500 მოსწავლისათვის, სასკოლო შენობები სოფლებში ვაზისუბანში, ჩუმლაყში, ველისციხეში, ჯიმითში, ჭანდარში, ჩალაეთანში 4.000 მოსწავლის ადგილით.

რაიონში სასკოლო მშენებლობის საქმეში განსაკუთრებული ბედნიერება 1974 წელს მოხდა. ზემოთ დასახელებული 6 სასკოლო შენობიდან ხუთი მწყობრში სწორედ შარშან ჩადგა.

ამჟამად განახლდა სოფელ ბაკურიანის სასკოლო შენობის მშენებლობა, რომელიც დაკონსერვებული იყო 1972 წლიდან. მუშაობა განახლდა ავრეთვე ჯაჭრეთის სასოფლო საბჭოს შენობის ასაგებად, რომლის მშენებლობა 1959 წელს დაიწყო.

პარტიის რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საწარმოო დანიშნულების იმ ობიექტებს, რომელთა მშენებლობა წლობით ჭიანურდებოდა. ასეთ მშენებლობას ეკუთვნის ღვინის მაკავა ნედლეულის ქარხნის წყალსაქაჩი, კარდანახის ღვინის ქარხნის წყალსადენი. პირველის მშენებლობა დაწყებულია 1973 წელს და მეორისა — 1962 წელს. პარტიის რაიკომმა კვების მრეწველობის სამინისტროსთან დაამყარა საქმიანი ურთიერთობა, განსაზღვრეს მშენებლობის დამთავრების ვადები. მკაცრი კონტროლი დაიწესეს მშენებლობის მიმდინარეობაზე.

1956 წელს გურჯაანის მეველინეობის სიბჭოთა მეურნეობაში დაიწყო კლუბ-კინტორის მშენებლობა, მაგრამ მალე შეჩერდა. ეს მშენებლობა 1973 წელს განახლდა და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა. ახლა კლუბში და რეკრეაციულ ადგილებში ლადო და რეგან ამირიძეები, რომლებიც ახლა საყიზლარიდან ემზადებიან.

ბოლო ორ-სამ კვარტალში ასამუშავებელ ობიექტებზე — კონტროლი, დახმარება

გურჯაანის რაიონში ხუთწლედის განვლილ 4,5 წელიწადში გეგმით მწყობრში უნდა ჩამდგარიყო 117 ობიექტი — შეკვეთარად საექსპლოატაციოდ გადაეცა 140 ობიექტი.

ბოლოს, ოქტომბრის საბჭოთა მეურნეობაში ასამუშავებელ ობიექტებზე ინტენსიური მუშაობა ტარდებოდა. ამ ობიექტებზე ბრიგადა ბ. ბაბაიანის ხელმძღვანელობით ასრულებდა ელექტროინსტალაციის, ხის, ალიბასტრის, ბეტონის, ასფალტის, ლითონის, ფანჯრების, ბუხრების, ბეტონის ტროტუარების, ასფალტის ფენის, ბეტონის ბორბლების, ბეტონის ბოძების, ბეტონის ბორბლების, ბეტონის ბოძების, ბეტონის ბორბლების, ბეტონის ბოძების

მსოფლიო დღეს

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი, (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიის მუშაობაში მონაწილეობის მიხალებად აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

აეროპორტში ა. ა. გრომიკოს გაგაკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია, როგორც ყოველთვის, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში.

ჩვენ რომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მის ისეთ ფორუმებს, როგორიცაა გენერალური ასამბლეა, წინათაც აღარ ერთხელ გვითქვამს, თქვა ა. ა. გრომიკომ.

ამასთან, სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები ჯერ კიდევ ნაკლებია იმ შედეგები ჯერ, რომელთაც ხალხები მოელიან. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ყოველთვის საკადრის პასუხს როდი სცემდა აგრესორებს, ყოველთვის როდი იყო მშვიდობის ეფექტიანი გუშაგი. რაღა თქმა უნდა, ამაში ბრალი მიუძღვით იმათ, ვინც პოლიტიკაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების წინააღმდეგ მოქმედებს. ჩვენ ვეშობდით და კვლავაც ვგმობთ ამას.

საბჭოთა კავშირი იყო და არის ამ მსოფლიო ორგანიზაციის წესდების ზუსტი შესრულების მომხრე, იმის მომხრე, რომ ყველა მისი ორგანო, და უწინარეს ყოვლისა უშიშროების საბჭო და გენერალური ასამბლეა, ზუსტად, თავიანთი დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით ასრულებდნენ თავიანთ მაღალ ფუნქციებს, იდგნენ მშვიდობის სადარაჯოზე. ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში ეფექტიანობის ამაღლების წყარო.

არ ყოფილა გენერალური ასამბლეის არც ერთი სესია, რომ საბჭოთა კავშირს არ აღეძრას ესა თუ ის აქტუალური საკითხი, რომელიც აღელვებს ხალხებს, იგი აპირებს კვლავაც ასე მოიქცეს გენერალური ასამბლეის სესიასთან დაკავშირებითაც, რომელიც მუშაობას იწყებს 16 სექტემბერს.

ა. ა. გრომიკომ ყოველივე საუკეთესო უსურვა ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს, რომელთანაც საბჭოთა კავშირს სურს იქონიოს კარგი მეგობრული ურთიერთობა და ამ ურთიერთობას საფუძვლად დაუდოს მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, აგრეთვე ყოველივე საუკეთესო უსურვა ნიუ-იორკის მცხოვრებთ.

საფრანგეთი

იწვევენ კონფერენციას

პარიზი. (საკადესი). საფრანგეთის მთავრობამ მთელ რიგ ქვეყნებს დაუზავნა მიწვევა მონაწილეობა მიიღონ დასავლეთის ინფორმაციულ სახელმწიფოებისა და განვითარებადი ქვეყნების ახალ შეხვედრაში ნედლეულისა და ენერგიის საკითხებზე. ამას იუწყება საფრანგეთის პრეზიდენტის კანცელარია.

პრეზიდენტის კანცელარიის ცნობაში აღნიშნულია, რომ გათვალისწინებულია ახალი შეხვედრა მოეწყოს 13 ოქტომბერს პარიზში.

კშშ

ვაჭრობა გრძელდება

ვაშინგტონი, (საკადესი). აქ მიმდინარეობს შეერთებული შტატებისა და ესპანეთის მოლაპარაკების მორიგი ტური ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების მომავლის შესახებ, რომლებიც განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების და ესპანეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის ახლანდელი შეთანხმების შესაბამისად. ამ შეთანხმებას ძალა გაუდის მიმდინარე წლის 26 სექტემბერს.

ამერიკა-ესპანეთის მოლაპარაკება ამ შეთანხმების გაგრძელების შესახებ, რომელიც ერთი წლის წინათ დაიწყო, ჩიხში მოექცა. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, ამერიკის ბაზების დატოვებაზე თანხმობის სანაცვლოდ მადრიდი ცდილობს მიიღოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან ვალდებულებანი „ერთობლივი თავდაცვისა და ურთიერთდახმარების“ ფარგლებში, აგრეთვე 1,5 მილიარდი დოლარის თანამედროვე იარაღი.

ინგლისი

განხეთქილება ექსტრემისტთა შორის

ლონდონი, (საკადესი). უშედეგოდ დამთავრდა პროტესტანტული პარტიებისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ორგანიზაციების ლიდერთა მოლაპარაკება ბელფასტში. მისი მიზანი იყო როგორმე დაეძლიათ განხეთქილება, რომელიც მოხდა პროტესტანტ ექსტრემისტთა ბანაკში უკანასკნელ ხანს.

განხეთქილების მთავარი მიზეზია მწვავე ბრძოლა ლიდერობისათვის, რომელიც გაჩაღდა პროტესტანტული ექსტრემისტული ორგანიზაციის „ვენგარდის“ ლიდერს უ. კრეიგსა და ეგრეთწოდებულ დემოკრატიულ ჭაბუკთა პარტიის ხელმძღვანელს ი. პეისლის შორის. ეს მემარჯვენე პოლიტიკოსები, რომლებიც ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ ოლსტერში პროტესტანტთა ზეგავლენის ბატონობა, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რათა სათავეში ჩაუდგნენ ოლსტერის მთავრობას.

ბელფასტის მოლაპარაკების შემდეგ ი. პეისლიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „არ მომხდარა მისი და კრეიგის პოზიციების არავითარი დაახლოება“.

პროტესტანტული ექსტრემისტების რიგებში განხეთქილებამ კიდევ უფრო გააძწვავა დაძაბულობა ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც არ წყდება ტერორის კამპანია. მარტო უკანასკნელ დღეღამეში ტერორისტებმა მოკლეს ორი კათოლიკე და დაჭრეს რამდენიმე კაცი.

ლიბანი

ვითარება კვლავ დაძაბულია

ბეირუთი, (საკადესი). გუშინდღისით და წუხელ ლიბანის დედაქალაქის ჩრდილოეთ რაიონებსა და ჩრდილოეთ ლიბანის ქალაქ ტრიპოლში მდგომარეობა კვლავ საკმაოდ დაძაბული იყო, თუმცა ინციდენტების რიცხვი შემცირდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა კ. შამუნმა ალაპარაკა ამ კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდებოდა ბეირუთის შიახისა და აინ არ-რუმანის რაიონებში წესრიგის აღდგენის მიზნით. შეეხო რა ტრიპოლის მდგომარეობას, მინისტრმა განაცხადა, რომ ამ ქალაქში „შეიარაღებულმა ჯგუფებმა“ დაიკავეს პოლიციის მთელი რიგი უბნები, მაგრამ ახალი შეიარაღებული შეტაკებანი იქ არ შეიმჩნევა.

ტრიპოლსა და ბეირუთში გაიმართა პროგრესული ძალების წარმომადგენელთა თათბირები, რომელთა მონაწილეებმა ლიბანელ მოქალაქეებს მოუწოდეს თავიანთი წვლილი შეეტანონ ქვეყანაში სიმშვიდის აღდგენის საქმეში.

გიმართა აგრეთვე კ. შამუნისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარის ი. არაფატის შეხვედრა. შეხვედრაზე მიაღწიეს შეთანხმებას, რომ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა ითანამშრომლებს ლიბანის ხელისუფლებასთან ლიბანში წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში.

ქრგენტინა

მთავრობის რეორგანიზაცია

ბუენოს-აირესი, (საკადესი). არგენტინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იტალო ლუდერი დათანხმდა მთავრობის ორი წევრის გადადგომას, ვისენტე დომასკოს ნაცვლად შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია ანხელ ფედერიკო რობლედო, რომელიც წინათ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ეროვნული თავდაცვის მინისტრის პოსტი ხორხე გარიდოს ნაცვლად ვომას პოტერომ დაიკავა.

არგენტინის პრესა აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მოღვაწეთა გადაადგილებას, რომლებსაც საკვანძო პოსტები ეკავათ მთავრობაში. როგორც ცნობილია, შეიარაღებული ძალების გავლენიანმა წრეებმა გაიღაშქრეს პოლკოვნიკ ვისენტე დომასკოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნის წინააღმდეგ. ვისენტე დომასკო პრეზიდენტის მარი ესტელა მარტინეს დე პერონის ნდობით სარგებლობდა.

მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა იტალო ლუდერმა, რომელიც ქვეყნის სენატის თავმჯდომარე გახდა პრეზიდენტის ნებასურვილის წინააღმდეგ, კაბინეტში მოახდინა გადაადგილებანი სულ რამდენიმე დღის შემდეგ, რაც ავადმყოფობის გამო შვებულებაში გასული მარია ესტელა მარტინეს დე პერონას ნაცვლად სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

მინისტრთა კაბინეტის ახლანდელი რეორგანიზაცია უკანასკნელი სამი თვის მანძილზე მეოთხეა.

ლონდონი

ბელგეთი ექსტრემისტთა შორის

ლონდონი, (საკადესი). უშედეგოდ დამთავრდა პროტესტანტული პარტიებისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ორგანიზაციების ლიდერთა მოლაპარაკება ბელფასტში. მისი მიზანი იყო როგორმე დაეძლიათ განხეთქილება, რომელიც მოხდა პროტესტანტ ექსტრემისტთა ბანაკში უკანასკნელ ხანს.

ბელფასტის მოლაპარაკების შემდეგ ი. პეისლიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „არ მომხდარა მისი და კრეიგის პოზიციების არავითარი დაახლოება“.

პროტესტანტული ექსტრემისტების რიგებში განხეთქილებამ კიდევ უფრო გააძწვავა დაძაბულობა ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც არ წყდება ტერორის კამპანია. მარტო უკანასკნელ დღეღამეში ტერორისტებმა მოკლეს ორი კათოლიკე და დაჭრეს რამდენიმე კაცი.

საკადესი

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ვარშავა.** ვარშავის მთავარმა არქიტექტორმა თადეუშ შუმელევიჩმა დამტკიცა ვარშავის ცენტრში 140 მეტრის სიმაღლის ორი 40-სართულიანი შენობის მშენებლობის პროექტი, რომლებიც გათვალისწინებულია საზღვარგარეთის სავაჭრო წარმომადგენლობისა და ფირმებისათვის, აგრეთვე პოლონეთის სავაჭრო პალატა და პოლონეთის ავიაკომპანია „ლეტისათვის“.

● **ბუდაპეშტი.** უნგრეთის დედაქალაქში დამთავრდა ფინურ-უნგრული საკითხებისადმი მიძღვნილი მეოთხე კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობდა მსოფლიოს 24 ქვეყნის ათასამდე მეცნიერი, მათ შორის საბჭოთა მეცნიერები. ექვსი დღის განმავლობაში ისინი განიხილავდნენ ფინელ-უნგრელ ხალხთა ისტორიისა და კულტურის, ეთნოგრაფიის, ენებისა და ლიტერატურის საკითხებს.

● **ბონი.** ვისბადენში გამართული „მშვიდობის მარშის“ მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია თანამიმდევრულად განხორციელდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპები, რომლებიც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკის დასკვნით ეტაპზე გამოცხადდა.

● **მოგადიშო.** სომალის ქალაქ კისიმაიოში ეწყობა მეცნიერული სოციალიზმის თეორიის საკითხთა კურსები. მისი მონაწილენი — სამრეწველო საწარმოთა მუშები, სახელმწიფო მოსამსახურენი, — ერთი თვის განმავლობაში მოისმენენ ლექციების კურსს პოლიტიკური ცოდნის საფუძვლებზე, აგრეთვე სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე.

● **ჰავანა.** კუბაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მარიან ნგუაბი ჩავიდა ქალაქ სანტიაგო-დე-კუბაში. მოგზაურობის დროს მას თან ახლავს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო.

● **ტოკიო.** უჩვეულო ნამატი აქვს ოსაკის ზოოპარკს. ლომს „ტაკეოს“ და ძუ ვეფხვს „ტამასს“ ბოკვერები შეეძინათ. მაგრამ ამ დღეებში დაბადებული სამი ლომვეფხვიდან მხოლოდ ერთი გადარჩა. ოსაკის ლომვეფხვა ახლა ერთადერთია მსოფლიოში, მსოფლიოს პრაქტიკაში ასეთი ცხოველების დაბადებულ სულ ათიოდე შემთხვევაა აღრიცხული.

მუკლად

1975 — ქალის საერთაშორისო წელი

იაპონია

ტოკიოში გაიმართა იაპონელ დედათა კონგრესის XXI სრულიად ეროვნული კონფერენცია. 13 ათასზე მეტმა დელეგატმა, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნენ, დიდი უურადღება დაუთმეს მშვიდობისათვის, განათლების დემოკრატიული სისტემისათვის პრძოლას, იაპონიაში მშრომელ ქალთა მდგომარეობის საკითხებს.

მართალია, წლეულს იაპონიის პარლამენტმა მიიღო „სპეციალური რეზოლუცია იაპონიაში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, მაგრამ მშრომელი ქალები კვლავ ფარული დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან. მათ პირველ რიგში ითხოვენ სამუშაოდან, განსაკუთრებით ახლა, როცა იაპონიის ეკონომიკა კრიზისს განიცდის, მათი ხელფასი მამაკაცთა ხელფასზე ორჯერ ნაკლებია. ეი რატომ იყო, რომ კონფერენციის მონაწილეები ძირითადად მოითხოვდნენ ქალთა დისკრიმინაციის მოსპობას,

სურათზე: კონფერენციის მონაწილენი ტოკიოს ქუჩებში.

მდგომარეობა პორტუგალიაში

ლისაბონი, საკადესის კორესპონდენტი ე. კოვალიოვი იტყობინებაპორტუგალიის საზოგადოებრივობა ფართოდ განიხილავს მთავრობის საერთო პროგრამას, რომელიც ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებისშემდეგ შეათანხმეს პორტუგალიის სამხედრო ხელმძღვანელებმა და ქვეყნის სამი წამყვანი პოლიტიკური პარტიის — სოციალისტური, კომუნისტური და სახალხო დემოკრატიული პარტიების ლიდერებმა.

16 სექტემბერი

ამბები • ფაქტები

საკადესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

პორტუგალიის პროგრესული პრესა აღნიშნავს, რომ რეაქციის აშკარა გამოხდომის რეალური საშიშროების შეგნება, რაზეც არაერთხელ მიუთითებდა კომუნისტური პარტია, აიძულებს ქვეყნის პოლიტიკურ ძალებს მიაღწიონ ახალი, ძველზე დროებითი მთავრობის შედგენის შესახებ მოლაპარაკების ყველა მონაწილისათვის მისაღებ კომპრომისს.

გაზეთი „ს

„კომუნისტის“ ინტერვიუ

თეატრი ელის მაყურებელს

ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრი

თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის სცენაზე უკვე გაიმართა ახალი სეზონის პირველი წარმოდგენა. კოლექტივის მომავალ გეგმებზე „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი ა. ოვსტროვსკი. აი რა თქვა მან:

— წარმოვადგინეთ პირველი პრემიერა — ა. ჩხაიძის „როცა ქალაქი იძინებს“. პიესამ ჩვენი ყურადღება მიიქცია სადღეისო პრობლემების საინტერესოდ წარმოსახვით. სპექტაკლი მივუძღვენით კომუნისტური პარტიის მომავალ XXV ყრილობას.

მიმდინარეობს რეპეტიციები მ. როზოვსკის და ი. რიაშეფცევის მუსიკალურ სპექტაკლზე „სამი მუშკეტერი“. შემდეგ ვაპირებთ წარმოვადგინოთ გ. გორინის „დავიწყეთ ჰეროსტრატე“, ცნობილი უნგრელი დრამატურგის ი. ერკენის „კატასთან თამაში“, ლატვიელი დრამატურგის გ. გურბისის „ტოროლა“.

ჩემი დიდი ხნის ოცნებაა დავდგა ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ და ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“.

ახალ სეზონში მაყურებელი ისევ ნახავს ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიას“, შუკშინის „თვალსაზრისს“, „ენერგიულ ადამიანებს“, ა. ვამპილოვის „გამოთხოვებას ივნისში“ და სხვ.

შაუმიანის სახელობის თეატრი

გუშინ თბილისის შაუმიანის სახელობის სომხურ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიხსნა ახალი სეზონი. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტ თეატრის დირექტორმა გ. ლაბაძემ, მოუთხრო თეატრის მომავალ გეგმებზე.

— სეზონი გავხსენით პრემიერით, წამოვადგინეთ გ. ხუხაშვილის პიესა „დედა, მამა და შვილები“, რომელიც მივუძღვენით ქალთა საერთაშორისო წელს. ამჟამად ვმუშაობთ ვ. შუკშინის „ენერგიული ადამიანების“ დადგმაზე. წლის ბოლომდე მაყურებელს კიდევ ორ პრემიერას ვუჩვენებთ, ერთი მათგანია ს. არუთიუნიანის „ნათელი თვალები“, სპექტაკლი ჩვენი პარტიის XXV ყრილობას ეძღვნება.

სომეხი კლასიკოსის სუნდუკიანის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით ვაპირებთ წარმოვადგინოთ მისი პიესა „ვოდევილები“.

გეგმაში გვაქვს მაყურებელს ვუჩვენოთ ბ. სეირბანიანის „ტატულ ბაგრეევანცი“, ა. ვამპილოვის „უფროსი ვაჟი“, გ. პაპიაშვილის „რწმენა“ და სხვ.

კიროვაკანის თეატრი სოხუმში

სოხუმში საგასტროლოდ იყო ქ. კიროვაკანის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი.

კიროვაკანელებმა მავზუკისპირეთის ქალაქში უჩვენეს გ. სუნდუკიანის კომედია „მეუღლეები“, გ. გეგორჩიანის — „მწვანე მხედარი“, ა. პაპონიანის „ბიძია ბაღდასარი“.

სტუმრებმა, გარდა სოხუმისა, სპექტაკლები წარმოადგინეს აგრეთვე აფხაზეთის სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

ნ. მიქაშავიძე.

სოხუმი.

კონცერტი საქმოვრებზე

ფინანდლის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლთან მესამე წელია არსებობს ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძღვანელი ა. ქეიხიშვილი), რომელიც ნაყოფიერ მუშაობას იწევს როგორც ჩვენი სოფლის მოსახლეობაში, ასევე კახეთის სხვა სოფლებში.

ამას წინათ ანსამბლის წევრები ეწვივნენ საზაფხულო საძოვრებზე მყოფ მწყემსებს, სადაც გამართეს კონცერტები.

ანსამბლი ემზადება საკავშირო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

ს. მეგუთნიშვილი,
თელავი, წინანდალი.

ხიხამთაზე

ამბროლაურის რაიონის ოთხასამდე მთიბავი წავიდა ნახევრად ალპური ხიხამთის გორაკებიან სათიბებზე. სამი დღე ალპალპებდნენ ცელებს, ტრიალებდნენ ფიწლებს და ხუთის ტონაზე მეტი სასენაკე ბალახის მასა ჩაუზიდეს მანქანებით კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმებს.

მათს შორის იყვნენ სპორტინო კულტურის სახლის მუშაკები, რომლებმაც საკვები დამზადებაშიც გამოიჩინეს თავი და კულტურული მომსახურებაც გაუწიეს თანამოსაქმე საკვებმომპოვებლებს — ე. წ. „თამარის ღელეთან“ ტაფობში კონცერტი გამართეს. ნაჩვენები იქნა აგრეთვე კინოფილმი „წარსულ ზაფხულში“.

აკ. კერესელიძე.

როგორ იქმნება გაზეთი

ახალი წიგნი პრესის მუშაკებისათვის

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის გ. გორდულაძის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წიგნი „როგორ იქმნება გაზეთი“.

ნაშრომში განხილულია გაზეთის აწყობის, საბეჭდი ფორმების დამზადების, ბეჭდვის, ექსპედირების და დეცენტრალიზების საკითხები.

„საქართველოს გუნება“ № 8

გამოვიდა ყოველთვიურ სამეცნიერო- საწარმოო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ მორიგი, მერვე ნომერი.

საქართველოს რაიონებში

ნალენჯიხა

გვაცყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი.

პოლონეთის მისამართით

პოლონეთში სახელი გაითქვა წალენჯიხელთა ნახელავმა — შავი ბაიხის ჩაიმ. მასზე სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება. წლეულს მოძმე სოციალისტურ ქვეყანას გაეგზავნება 200 ტონა ჩაი. ფაბრიკების გაერთიანებამ დღემდე უკვე გაგზავნა 100 ტონა ხარისხოვანი პროდუქცია.

„დიდების“ ბაღი

დამთავრდა ქალაქის ცენტრალური „დიდების“ ბაღის რეკონსტრუქცია. მოიზვინა ტერიტორია, შეკეთდა ბორდიურები, ხოლო 300 გრძივ მეტრზე ასალიც გაკეთდა. დაირგო მარადმწვანე მცენარეები — ლუგუსტრუნი და ბზა; გაყვანილია ახალი გაზონები და ტროტუარები, დაიდგა წყლის ონკანები. ამჟამად მიმდინარეობს მთის წყაროსწყლის გამოყვანისა და შადრევნის მოწყობის სამუშაოები.

„დიდების“ ბაღი ქალაქის მშვენებაა, მას მრავალი დამსვენებელი ჰყავს.

ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმი

სიკვდილის წინ მხცოვანმა მწერალმა მშობლიურ სოფელ ობუჯში თავისი სახსრებით ბიბლიოთეკა აშენა და შენობა მრავალ წიგნთან ერთად უსახსოვრა თანასოფლელებს.

ახლახან რაიონულ საბჭოს აღმასკომის ინიციატივით ბიბლიოთეკას მიაშენეს სადარბაზო ოთახი, გაუკეთეს კაპიტალური რემონტი, შემოაკავეს ეზო, შეძენილ იქნა ინვენტარი. მაღლიერმა თანასოფლელებმა დაიწყეს მასალების შეგრავება, რათა საზოგადოებრივ საწყისებზე გახსნან მწერლის სახლ-მუზეუმი.

წალენჯიხა — ბამი

საშუალო სკოლების მოსწავლეებმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლებთან.

ჯ. ვარის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, მაგალითად, ბამის მშენებლებს გაუგზავნეს წიგნები საქართველოზე. მალე მათ მშენებლების მადლობის წერილებიც მიიღეს.

ჩქვალერის საშუალო სკოლის პიონერები და კომკავშირელები კი ამ დღეებში ბამის მშენებლებს „ნია გრუზინსკაიას“ დასახლებაში გაუგზავნიან პატარა ბიბლიოთეკას და ხილის ამანათს.

ახალმშენებლობანი

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭომ ხუთწლიანი გეგმა ოთხწელიწადნახევარში შეასრულა. ექსპლოატაციაში გადაცემულია კულტურულ-საგანმანათლებლო, საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების 82 ობიექტი. მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სადგომი, საკალანდიოს რვაწლიანი სკოლა და სხვ. სულ მალე მწყობრში ჩადგება ორი დაწყებითი სკოლა და ერთი საბავშვო ბაღი.

გ. ნოდია.

მუშაობლიური ჰეიზაუეები

სურათზე: მდინარე ხადის ხეობა დუშეთის რაიონის სოფელ მთიულეთის მახლობლად.
თ. ძიძაპას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიაში

ქართველი მუსიკოსებისა [illegible] საზღვარგარეთული ტურნეები

საქართველოს კამერული ორკესტრი კომპოზიტორ ვ. სანაძის ხელმძღვანელობით სექტემბერსა და ოქტომბერში მონაწილეობას მიიღებს ბულგართსა და ჩეხოსლოვაკიაში, აგრეთვე საგასტროლო ტურნეს გამართავს ამ ქვეყნების ქალაქებში. ორკესტრთან ერთად გამოვა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი მეიოლინე ლიანა ისაკაძე.

კამერული ორკესტრი საქართველოს ერთ-ერთი ახალგაზრდა საშემსრულებლო კოლექტივია, მაგრამ მან უკვე დაიმსახურა საერთაშორისო აღიარება. ორკესტრი სამჯერ წარმატებით გამოვიდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მონაწილეობდა ლაიფციგის ბახის სახელობისა და ჰალეს ჰენდელის სახელობის ფესტივალებში.

ორკესტრის კონცერტები მსმენელებს იზიდავს სერიოზული შემოქმედებითი შთანაფიქრით. რეპერტუარის გააზრებითა და შესრულების ხელოვნებით. მის პროგრამაშია რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც დადასტურა საქართველოში არ შესრულებულა, მათ შორის ჰაიდნის „გამოსათხოვარი სიმფონია“, ვივალდის კონცერტები და სხვ.

ბულგართსა და ჩეხოსლოვაკიაში აკადემიდება რუსი და დასავლეთ ევროპელი კლასიკოსების ნაწარმოებები, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტების ა. მაჭავარიანისა და ო. თაქთაქიშვილის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების ს. ნასიძისა და ნ. მამისაშვილის თხზულებანი. (საქინფორმი).

ეროვნული ბედნიერება

ეს იყო ამ ათი წლის წინათ.

სამგზავრო მატარებელი „სოფია-მოსკოვი“ კიევის. ვაგზალში ჩამოდგა, მწერალი თენგიზ კასაძე თანამგზავრებს დაემშვიდობა, მხარზე ლაბადადადაკიდებული, ჩემოდანით ხელში ვაგზლის მოედანზე გავიდა.

შედგა. მოთენთილ სახეზე შუქმა გადაურბინა, მერე თვალები გაუბრწყინდა და ჩურჩულით წარმოთქვა:

— კიევე, ჩემი კიევი...

შემახსენელ კამერაში ჩემოდანი ჩააბარა. ტაქსში მოიკალათა. პალტი მუხლებზე დაიდო და მძღოლს მიმართა, კრეშჩატიკისაკენ გაპყეთო.

ერთხანს ხმაგაკმენდილი იცქირებოდა, თვალებს აეკეცებდა, სახეზე კმაყოფილების ღიმილი ეხატებოდა.

— თქვენ წინათაც ყოფილხართ აქ? — გადაულაპარაკა ავამდე გაყოჩეხულმა მეზობელმა მძღოლმა.

— ვსწავლობდი, ვცხოვრობდი დიდი ხნის წინათ...

— ახლა?

—ახლა მოსკოვში ვარ.

— დიდი ხნის წინათ... ჰმ, რა შედარებაა! — მხრები აიჩეჩა, სქელი, ჭაღარა წარბები ამრიზა მძღოლმა, — ახალი პროსპექტები, მოედნები... არაფრით ჩამოუვარდება თქვენს მოსკოვს...

კასაძემ ჩაიღიმა, კმაყოფილება იგრძნო, ასე რომ ამაყობდა ეს კაცი თავისი ქალაქით, მერე თანხმობის ნიშნად, მხარზე ხელი მოუთათუნა და დასძინა:

—მართალი ბრძანდებით, კიევი დიდებულია, კიევი მშვენიერია...

მანქანამ უმაღლესი სიჩქარე აიღო. ავტომობილი ზაზუნებდა. ავტომობილი ზაზუნებდა. ავტომობილი ზაზუნებდა. ... ...